საქართველო

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური

ხულოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ი „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი“

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2020 წ. - 31.12.2021 წ.)

ხულო

2022 წ.

აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ„ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი“

აუდიტის ობიექტის მისამართი - დ.ხულო, ტბელ აბუსერისძის ქუჩა №1

თემა - შესაბამისობის აუდიტი

შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 იანვრის № **პ/10168988** ბრძანებით დამტკიცებული ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმა.

აუდიტის ჯგუფი - ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი ზვიად თავართქილაძე და სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიკო ქონიაძე.

აუდიტის ვადა - 01.06.2019 წ. – 30.06.2019 წ.

აუდიტის პერიოდი - 01.01.2020 წ. – 31.12.2021 წ.

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის“ შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2020 წლის 01იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე განვლილ პერიოდს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების შესაბამისად.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით სადაც ასახულია ა(ა)იპ-ს მდგომარეობას 2020 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის მიმოხილვა:

ძირითადი განმარტებანი

,,ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი" დაფუძნებულია ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 16 თებერვლის №01-06/40ბრძანებით და იგი არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი კავშირი. 22/01/2018 წლის ხულოს მუნიციპალიტეტის მერის N18 ბრძანებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის" (შემდგომში - სოციალური სერვისების ცენტრი) **წესდება**. ა(ა)იპ-ის შიგა 22/01/2018 წ. N18 ბრძანებით დამტკიცებულია **დაწესებულების შინაგანაწესი.**

სოციალური სერვისების ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, შტამპი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

სოციალური სერვისების ცენტრი ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, წესდების და საკუთარი შინაგანაწესის საფუძველზე. ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, რომელიც ახორციელებს დამფუძნებლის უფლებამოსილებებს.

სოციალური სერვისების ცენტრი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. გაერთიანების იურიდიული მისამართია: ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, ტბელ აბუსერისძის ქ.№1.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა და კანონიერება.

2020 წელი

ა(ა)იპი „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის“ 2020 წლის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვრა 369 500 ლარით. ამავე პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 369 291 ლარი. ე.ი. დაგეგმილი ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 209 ლარით ნაკლები. ბიუჯეტის შესრულება შეადგენს 99.99%.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურება პრემიის ჩათვლით გეგმით გათვალისწინებული იყო 31 200 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 31 200 ლარი.

საქონელი და მომსახურება მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 324 300 ლარი. გაწეულია საკასო ხარჯი 323 163 ლარი, ნაკლებობამ შეადგინა 1137 ლარი. ფაქტობრივი ხარჯვა შეადგენს 319 247 ლარს.

შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასი გეგმით შეადგენს 230 500 ლარი, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 230 500 ლარი.

მივლინების ხარჯის მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 400 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 387 ლარი.

ოფისის ხარჯი დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 11 450 ლარს, ხოლო საკასო ხარჯი შეადგენს 11 446 ლარს.

სამედიცინო ხარჯების მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 28 800 ლარი, საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 27 841 ლარი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი დაგეგმილი იყო 52 650 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 52 645 ლარი. სხვაობა საკასო ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის არის 5 ლარი. ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 48 729 ლარი.

2021 წელი

ა(ა)იპი „ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის“ 2021 წლის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვრა 375 690 ლარით. ამავე პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 375 450 ლარი. ე.ი. დაგეგმილი ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 240 ლარით ნაკლები. ბიუჯეტის შესრულება შეადგენს 99.99%.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურება პრემიის ჩათვლით გეგმით გათვალისწინებული იყო 31 200 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 31 200 ლარი.

საქონელი და მომსახურება მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 339 490 ლარი. გაწეულია საკასო ხარჯი 339 399 ლარი, ნაკლებობამ შეადგინა 91 ლარი. ფაქტობრივი ხარჯვა შეადგენს 339 399 ლარს.

შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასი გეგმით შეადგენს 237 017 ლარი, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 237 017 ლარი.

მივლინების ხარჯის მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 300 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 300 ლარი.

ოფისის ხარჯი დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 15 304 ლარს, ხოლო საკასო ხარჯი შეადგენს 15 277 ლარს.

სამედიცინო ხარჯების მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 31 850 ლარი, საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 31 787 ლარი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი დაგეგმილი იყო 54 026 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 54 025 ლარი. სხვაობა საკასო ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის არის 1 ლარი. ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 54 025 ლარი.

გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

2021 წლის ბრძანება №19-98213641 ბრძანება საწვავის ტალონების განაწილების შესახებ ხელმოუწერელია, ბრძანება დაწესებულებისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ხელმძღვანელის ხელწერით უნდა ფიქსირდებოდეს.

რეკომენდაცია

სრულად და კანონის სრული დაცვით განხორციელდეს პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოება.

2021 წლის დეკემბრის თვის ბენზინის ჩამოწერის ფორმა დანართი №2-ში ავტომობილ *RANGE*-ROVERI QVV164 ჩასხმული საწვავის რაოდენობა 100 ლიტრი გავლილი მანძილი მითითებული არა აქვს. დანართში მითითებულია, რომ ავტომობილი არ მუშაობს მაგრამ საწვავი მაინც გაცემულია აღნიშნულ ავტომობილზე.

რეკომენდაცია

სერვისების ავტომობილების მოვლა-შენახვაზე და ბუღალტრული დოკუმენტაციის შედგენაზე პასუხისმგებელმა პირებმა საწვავის გაცემა-ჩამოწერის ფორმების შევსება განახორციელოს ფორმაში არსებული პოზიციების შესაბამისად. რემონტში მდგომ ავტომობილებზე არ გაიცეს საწვავი.

ა(ა)იპ-ში საწვავის ჩამოწერა ხორციელდება შედგენილი ფორმების (დანართი 2) -ის შესაბამისად , სადაც ასევე მითითებულია მიზანი და დანიშნულების ადგილი კილომეტრაჟის ჩვენებით . ზოგიერთ ლოკაციებზე ტრანსპორტით გადაადგილება მეტი კილომეტრაჟით არის დაფიქსირებული, კერძოდ: ხულო-ბათუმი 250 კილომეტრი-მანძილი ხულო-ბათუმი-ხულო არის 170 კმ, ხულო-ღორჯომი 95 კმ- უნდა იყოს 36 კმ, ხულო-დიოკნისი 56კმ- უნდა იყოს 20 კმ და ა.შ. აღნიშნული ხარვეზი სისტემურია.

სპიდომეტრის ჩვენება და გავლილი მანძილი არ ემთხვევა ერთმანეთს , კერძოდ: ავტომობილი ნივა WE596WF მძღოლი იოსებ შაინიძე 2021 წლის ივნისის ტვესი სპიდომეტრის საწყისი ჩვენება არის 40896, სპიდომეტრი საბოლოო ჩვენება კი 42212 .ანუ გავლილი მანძილია 1316.

დანართში ფიქსირდება 222 კმ-ით მეტი 1538 კმ, რაც იწვევს საწვავის მეტი ხარჯვის დაფიქსირებას, (222 კმ-ზე საჭირო საწვავის რაოდენობა) აღნიშნული ხარვეზიც სისტემურია.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ-მა კონტროლი დაუწესოს ტრანსპორტის გადადგილებას და სწორად მოახდინოს დოკუმენტირება, რაც აღარ გამოიწვევს საწვავის კილომეტრაჟთან შეუსაბამო ხარჯვას.

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი: ზვიად თავართქილაძე

სპეციალისტი: სოფიკო ქონიაძე